

## საპროექტო განაცხადის # RFA 18-004 შევსების ინსტრუქცია

### ნაწილი I (საბაზისო ინფორმაცია)

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ორგანიზაციისა და საკონტაქტო პირის შესახებ. ეს ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს **3 გვერდს**.

**პუნქტი 1: ორგანიზაციის მონაცემები** - ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის ამჟამინდელი სტატუსი.

**პუნქტი 2: საკონტაქტო ინფორმაცია** - მაქსიმუმ 2 საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა (საკონტაქტო პირია ის, ვინც პასუხისმგებელია *USAID WMTR II პროგრამასა* და აპლიკანტს შორის კომუნიკაციაზე: ეს ეხება ქვე-გრანტის ყველა ასპექტს, მათ შორის პირველად განაცხადს, მოლაპარაკებებს, ქვე-გრანტის მინიჭებასა და ქვე-გრანტის დახურვას. საკონტაქტო პირს უნდა ჰქონდეს სრული უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, იმოქმედოს აპლიკანტი ორგანიზაციის სახელით. საკონტაქტო პირი უნდა იყოს ის, ვინც უშუალოდ იქნება ჩართული ქვე-გრანტის აქტივობაში).

**პუნქტი 3: ორგანიზაციის სტრუქტურა** - დირექტორთა საბჭოს წევრები და ძირითადი პერსონალი (პრეზიდენტი, დირექტორები, ფინანსური მენეჯერი და ა.შ.). განაცხადს თან უნდა ერთვოდეს ორგანოგრამა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**პუნქტი 4: ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის მოკლე აღწერა** - ამ პუნქტში უნდა მოხდეს აპლიკანტისა და მისი ისტორიის წარდგენა: როგორ დაარსდა ორგანიზაცია, რა არის მისი მისია და მიზანი, რა ძირითად საქმიანობებს ახორციელებს, ვინ არიან ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფები/ბენეფიციარები, რა არის მისი მთავარი მიღწევები სამიზნე აქტივობის სფეროში, რა მიმდინარე აქტივობებს ახორციელებს ორგანიზაცია და შემოტანილი განაცხადის მსგავსი რა აქტივობები/პროექტები აქვს განხორციელებული წარსულში.

**პუნქტი 5: რეკომენდატორები** - ჩამოთვალეთ სამი დონორი და/ან პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებიც რეკომენდაციას გაგიწევენ, რომ თქვენს ორგანიზაციას აქვს უნარი წარმატებით განახორციელოს ქვე-გრანტით გათვალისწინებული საქმიანობის ფინანსური, ადმინისტრაციული და ტექნიკური მოთხოვნები. მოკლედ აღწერეთ რეკომენდატორთან თანამშრომლობის ტიპი (მათ შორის მუშაობის ხასიათი და ხანგრძლივობა). თუ რეკომენდატორი წარსულში ორგანიზაციის დონორი იყო, მიუთითეთ მის მიერ დაფინანსებული აქტივობა(ები) და მისი (მათი) ადგილმდებარეობა. წარმოდგენილი უნდა იყოს რეკომენდატორის სრული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საკონტაქტო პირს, დაკავებულ პოზიციას, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და ელ.ფოსტის მისამართს.

### ნაწილი II (პროგრამის აღწერილობა)

პროგრამის ძირითადი ელემენტების აღწერა, რაც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ქვე-გრანტის მიზანი და კავშირი *USAID WMTR II პროგრამის* მიზნებთან, ქვე-გრანტის სამოქმედო გეგმა, შედეგები, ქვე-გრანტის ბენეფიციარები. ეს ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს **7 გვერდს**.

**პუნქტი 6:** ქვე-გრანტის სახელწოდება - დაასათაურეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული პროექტი

**პუნქტი 7:** ფონური ინფორმაცია - პრობლემის განსაზღვრა, რომელზე რეაგირებასაც მიზნად ისახავს ქვე-გრანტის საქმიანობა.

**პუნქტი 8:** ქვე-გრანტის მიზანი - ქვე-გრანტის ფარგლებში შემოთავაზებული საქმიანობის მიზნის მოკლე აღწერა.

**პუნქტი 9:** ქვე-გრანტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობასთან დაკავშირებული დეტალები - აქტივობის დეტალური აღწერა, იმის მითითება და აღწერა, თუ როგორაა აქტივობა დაკავშირებული *USAID WMTR II პროგრამის* მიზნებთან და რა შედეგების მიღებაა მოსალოდნელი ქვე-გრანტის ფარგლებში. ეცადეთ, მაქსიმალურად მთავრად დეტალური აღწერა განაცხადის შეფასების კრიტერიუმებსა და *USAID WMTR II პროგრამის* მიზნებს.

განხორციელების გეგმას თან უნდა ახლდეს შევსებული **დანართი 3**, *განხორციელების გეგმის შესრულების ვადები*.

აპლიკანტმა ასევე უნდა აღწეროს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ვარაუდი და/ან საქმიანობის შესასრულებლად საჭირო პირობა.

ასევე, განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შევსებული **დანართი 4** *მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორის ფორმა*, სადაც უნდა მიუთითოთ ქვე-გრანტის ყველა ინდიკატორი, მათი განსაზღვრება და მიზნები; ის თუ როგორ მოხდება მონაცემების შეგროვება და სეგრეგაცია სხვადასხვა პარამეტრის (სქესი, რეგიონი, სხვ) მიხედვით.

**პუნქტი 10:** ბენეფიციარები - ბენეფიციარების/ჩართული მხარეების (ჩაშალეთ ისინი გენდერული კომპონენტის მიხედვით), მათი სავარაუდო რაოდენობისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრა. დეტალური აღწერა იმისა, თუ როგორ მოხდება ბენეფიციარების იდენტიფიცირება ან შერჩევა, როგორ მიაღწევს ქვე-გრანტის აქტივობები სამიზნე ბენეფიციარებს, რა სარგებელს მიიღებენ ბენეფიციარები ქვე-გრანტისგან.

### **ნაწილი III (ქვე-გრანტის განხორციელების გეგმა)**

ეს ნაწილი მოიცავს აქტივობების განხორციელებას, მათ შორის შემოთავაზებული პერსონალისა და თითოეული საქმიანობის აღწერილობას. აღნიშნული ნაწილი უნდა იყოს ყველაზე დეტალური თავი და იგი არ უნდა აღემატებოდეს **5 გვერდს**.

**პუნქტი 11:** ქვე-გრანტის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის მითითებაში დასაშვებია ორკვირიანი ცდომილება).

**პუნქტი 12:** აქტივობის განხორციელების ადგილ(ებ)ის ჩამონათვალი. საჭიროებისამებრ, შესაძლებელია მწკრივების დამატება.

**პუნქტი 13:** ყველა პერსონალის ჩამონათვალი, რომელიც ჩართული იქნება ქვე-გრანტის აქტივობების განხორციელებაში, მათ რეზიუმეებთან ერთად. რეზიუმეები შესაძლებელია წარმოადგინოთ განაცხადთან ერთად, დანართის სახით.

#### **ნაწილი IV (გამოცდილება და შესაძლებლობები)**

აღნიშნული ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს **2 გვერდს**

**პუნქტი 14:** აპლიკანტის წარსული გამოცდილების ან ამჟამად მიმდინარე ქვე-გრანტის განაცხადის ანალოგიური აქტივობების აღწერა. ეს არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი აპლიკანტის მიერ აქტივობის განხორციელების შესაძლებლობების შეფასებისას. თუ აპლიკანტს არ აქვს ანალოგიური გამოცდილება, მაშინ ამ პუნქტში უნდა მოხდეს ნებისმიერი სხვა რელევანტური გამოცდილების / კვალიფიკაცი(ებ)ის მითითება, რომელიც მიუთითებს, რომ აპლიკანტს შეუძლია წარმატებით განახორციელოს ქვე-გრანტის აქტივობები.

#### **ნაწილი V (ბიუჯეტი)**

აღნიშნული ნაწილი წარმოადგენს განაცხადის ბიუჯეტის ფორმებში მოცემული ინფორმაციის რეზიუმეს და მოიცავს ქვე-გრანტის მოთხოვნის მთლიან თანხას, ქვე-გრანტის მიმღების მიერ ფულად და/ან არაფულად კონტრიბუციას და სხვა წყაროების კონტრიბუციას (თანადაფინანსებას). ასევე, ამ ნაწილში უნდა იყოს აღწერილი აშშ-ის მთავრობის ნებისმიერი სხვა დაფინანსება, რომელსაც აპლიკანტი ამჟამად სხვა მიზნებისთვის იღებს. ეს ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს **3 გვერდს**.

**პუნქტი 15:** აღნიშნული პროექტის დეტალური ღირებულება (ფულადი, არაფულადი<sup>1</sup> და მესამე მხარის წვლილი)

**პუნქტი 16:** აღნიშნულ პუნქტში უნდა იყოს განხილული, თუ როგორ მიიღწევა ქვე-გრანტის მდგრადობა.

**პუნქტი 17:** დონორების (აშშ-ის და სხვა ქვეყნების) მიერ დაფინანსებული აქტივობების ჩამონათვალი, რომლებსაც ორგანიზაცია ახორციელებდა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ამჟამად იღებს ან რომლის მიღებასაც ქვე-გრანტის განხორციელების პერიოდში მოელის.

აპლიკაციებს თან უნდა ერთვოდეს **დანართი 5, ქვე-გრანტის დეტალური ბიუჯეტი**. საქმიანობის ყველა ხარჯი უნდა იყოს იდენტიფიცირებული. ხარჯების შესახებ მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, ხოლო შემოთავაზებული თანხები არ უნდა იყოს არარეალისტურად მაღალი ან დაბალი.

მნიშვნელოვანია, ბიუჯეტში ნათლად ჩანდეს, თუ ვის მიერ არის გამოყოფილი ფულადი სახსრები (USAID-ის მიერ, სხვა დონორის თანადაფინანსებით თუ აპლიკანტის მიერ). ორმაგი დაფინანსების თავიდან ასაცილებლად *USAID WMTR II პროგრამა* მოითხოვს ყველა ჩართული

---

<sup>1</sup> იგულისხმება ქვე-გრანტის განხორციელებისათვის უსასყიდლოდ გამოყოფილი ფართი, აღჭურვილობა, გაწეული მომსახურება და ა.შ.

მხარის მიერ ინფორმაციის სრულ გამხელას და დაუკავშირდება ქვე-გრანტის თანადამფინანსებლებს მათი კონტრიბუციების გადასამოწმებლად. უნდა მოხდეს ბიუჯეტირებული თანხების დასაბუთება. მოთხოვნისამებრ, აპლიკანტს ასევე უნდა შეეძლოს მოახდინოს ასეთი მხარდამჭერი ინფორმაციის წარდგენა.